



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ლაშქართა შიგან არშეშვება

ლაშქართა შიგან არშეშვება, ლაშქართაგან გარდახდევა, გამანბილებელი სასჯელი ფეოდალურ საქართველოში; სამხედრო სამსახურში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა. გამოიყენებოდა როგორც დამატებითი საეკლ. სასჯელი დაკრულვასთან ერთად. ინიშნებოდა მკვლელობისათვის, მეფისა და სახელმწიფოს ღალატისთვის.

სასჯელი გამოიყენებოდა როგორც მოქალაქეობრივი უფლებების ჩამორთმევის ერთ-ერთი ფორმა, დროებითი ღონისძიების სახით ან სამუდამოდ. ფაქტობრივად, ეს სამოქალაქო სიკვდილს მოასწავებდა. ივ. ჯავახიშვილის შეფასებით, სასჯელი მეტად მძიმე იყო და თუკი იგი სამუდამო იქნებოდა, დამნაშავეს სრულ ქონებრივ გალატაკებასა და ზნეობრივ სიკვდილს უქადდა. მსგავსი გამანბილებელი სასჯელი იყო თავზე ლაფის დასხმა, გაპარსვა, ყელზე თოკობმული გატიტვლებული დამნაშავეს ქუჩა-ქუჩა ტარება, თავზე ნაცრის დაყრა, ვირზე შესმა, თავზე წვენის გადასხმა, მონად გაყიდვა და სხვ.

ლიტ.: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2003; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 7, თბ., 1984.

**ი. უჭმაჭურიძე**

---